GIU № 01-01/45

09/09/2024

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს რექტორის
ბრძანება № 01-01/45

თბილისი **“ 09“ სექტემბერი, 2024 წ.**

სამაგისტრო გამოცდების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტების
ნუსხის განსაზღვრის შესახებშესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს დებულების მე-6 მუხლის მესამე პუნქტის, უფლებამოსილების დელეგირების, პასუხისმგებლობის გადანაწილების და ანგარიშვალდებულების წესის მე-2 მუხლის, მე-4 პუნქტის, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლის და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის 2024-2025 სასწ/წ სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები შიდა გამოცდების გრაფიკი:

სპეციალობა*:* მასობრივი კომუნიკაცია

- გამოცდა სპეციალობაში (შერეული ფორმა - წერა და ზეპირი) - 23.09.2024 წ.
- ინგლისური ენა (ტესტირება, გასაუბრება)- 23.09.2024 წ.

სპეციალობა: სოციალური ფსიქოლოგია

- გამოცდა სპეციალობაში (შერეული ფორმა - წერა და ზეპირი)- 23.09.2024 წ.
- ინგლისური ენა (ტესტირება, გასაუბრება)- 23.09.2024 წ.

სპეციალობა: საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

- გამოცდა სპეციალობაში (შერეული ფორმა - წერა და ზეპირი) - 23.09.2024 წ.
- ინგლისური ენა (ტესტირება, გასაუბრება)- 23.09.2024 წ.

2. დამტკიცდეს შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს სამართლის და პოლიტიკის სკოლის 2024-2025 სასწ/წ სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები შიდა გამოცდების გრაფიკი:

სპეციალობა: სისხლის სამართალი

- გამოცდა სპეციალობაში (შერეული ფორმა - წერა და ზეპირი) - 23.09.2024 წ.
- ინგლისური ენა (ტესტირება, გასაუბრება)- 23.09.2024 წ.

სპეციალობა: კერძო სამართალი

- გამოცდა სპეციალობაში (შერეული ფორმა - წერა და ზეპირი) - 23.09.2024 წ.
- ინგლისური ენა (ტესტირება, გასაუბრება)- 23.09.2024 წ.

3. წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებად, საბუთების მიღება იწარმოებს 10 სექტემბრიდან 23 სექტემბრამდე. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება რექტორის სახელზე;
- ფერადი ფოტოსურათი (3x4) ამობეჭდილი (4 ცალი) და ელექტრონული ვერსია CD-ზე;
- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის დედანი ან მათი ნოტარიალურად დამოწმებული ასლი. მაგისტრანტობის კანდიდატმა, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, შესაძლოა წარმოადგინოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი, იმ პირობით, რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი დედანთან ერთად;
- ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ვაჟებმა წვევამდელის სამხედრო აღრიცხვის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი;
- უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4. წინამდებარე ბრძანების მესამე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების მიღება იწარმოებს უნივერსიტეტის კანცელარიაში (ქ.თბილისი, სამღერეთის ქუჩა N5) შაბათ-კვირის გარდა. საბუთების მიღება ასევე წარმოებს უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის (info@giu.edu.ge) საშუალებით;
5. სპეციალობისა და ინგლისური ენის გამოცდის შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 24 სექტემბერს. საპრეტენზიო განაცხადების მიღების ბოლო ვადად განისაზღვროს 27 სექტემბერი;

6. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული შიდა გამოცდა სპეციალობასა და ინგლისურ ენაში, მაგისტრანტობის კანდიდატის არჩევანის შესაბამისად შეიძლება ჩატარდეს ელექტრონული ფორმით;
7. მაგისტრანტობის კანდიდატებთან საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდება არა უგვიანეს 28 სექტემბერს;
8. ბრძანების უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურს;
9. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;
10. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
ასოცირებული პროფესორი
ელისაშვილი ელისო